ბაბილონელები

ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

კვირა 25 ნოემბერი № 130 (11616) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძვირფასო მკითხველებო, წელს არაერთხელ მოგმართეთ. ალბათ, დააკვირდით, ამას მაშინ ვაკეთებდით, როცა განსაკუთრებით გვიჭირდა. ახლაც არ გვილხინს და კვლავ თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს. ჩვენი ცხოვრების უთავბოლო წესების და საყოველთაო უსამართლობის წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველებმა ჟურნალისტებმაც აიმაღლეს ხმა. სულ მალე საბჭოთა ქვეყნის მესვეურთ ყელში სწვდა მართალი სიტყვა და ახლა გამწარებულები ცდილობენ განთავისუფლებული ჭინის უკან ბოთლში ჩამწყვდევას. ჟურნალ-გაზეთების ფასების მომატება არაფერია, თუ არა ამისი კიდევ ერთი (შესაძლოა, ყველაზე ეფექტური) მცდელობა, როგორც ჩანს, სოციალიზმის ნათლით გაბრწყინებულ წყვდიადში მყოფი ხალხი უფრო შეეფერება იმპერიის მოდერნიზების მიზნით დაწყებულ მორიგ ღონისძიებას, რომელიც პერესტროიკის სახელითაა ცნობილი. გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟების შემცირება პირდაპირ პროპორციულია იმპერიის შესანარჩუნებლად გამოყოფილი დივიდენდებისა. ერთის შემცირება მეორის გაძლიერებას უწყობს ხელს. ნუთუ შესძლეს, ნუთუ მიაღწიეს მათ თავის მიზანს? კი, გეთანხმებით, „ახალგაზრდა ივერიელზე" წლიური ხელმოწერის ფასი არცთუ ცოტაა, მაგრამ, ჯერ ერთი, ის ყველა არსებულ გაზეთებს შორის ერთ-ერთი იაფია, ღირს სულ რაღაც 9 მანეთი და 60 კაპიკი; და მეორეც, გული გვწყდება ხელმომწერთა მოკლე რიგების ხილვისას, როცა გვახსენდება ჩვენი უზრუნველი ხელგაშლილობა რესტორნებსა თუ კომერციულ მაღაზიებში, უცხოური წარმოების სიგარეტისთვის გადახდილი 20 მანეთი, 2 ათას 500 მანეთად ღირებული კონიაკი და ჩვენს თვალხატულა გოგო-ბიჭების ფეხებზე მორგებული ათას 500 მანეთიანი „კრასოვკები". არ გვინდა დავწვრილმანდეთ, მაგრამ ისიც ვთქვათ — „ახალგაზრდა ივერიელის" კოლექტივის მთელი წლის ნაჯაფ-ნაამაგარი უდრის, არც მეტი და არც ნაკლები, 24 ხინკლის ფასს კოოპერატიულ სასადილოში. მაშ, ნუ დავიყვანთ პრესისადმი ჩვენს დამოკიდებულებას აქამდე, ნუ ვუწყობთ ხელს მართალი სიტყვის წინააღმდეგ ცენტრის საყოველთაო ლაშქრობას.

გამოიწერეთ „ახალგაზრდა ივერიელი". ის კვლავ მზადაა ემსახუროს ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ხელმოწერა ჩვენს გაზეთზე ხელსაყრელი აცია, რამდენადაც მისი საცალო ღირებულება მომავალი წლიდან 10 კაპიკი იქნება, მაშინ, როდესაც თქვენ ის სახლში შეგიძლიათ მიიღოთ 7 კაპიკად. ამასთან „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში ჩვენი გაზეთი ძალიან შეზღუდული ტირაჟით გაიყიდება.

ხელმოწერის დამთავრებამდე 6 დღეღა დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია

22 ნოემბერს მუშაობა განაახლა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ. იგი გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

დღის წესრიგში პირველ საკითხად იდგა რესპუბლიკის პარლამენტის მუდმივი კომისიების შემადგენლობათა დამტკიცება. ამ საკითხზე წინადადებით გამოვიდნენ კომისიათა თავმჯდომარეები. გახსნილველი საკითხის გამო აზრთა გაზიარების შემდეგ სესიამ დაამტკიცა ამ კომისიათა შემადგენლობები.

შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ წარმოადგინა რესპუბლიკის მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბების, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სტრუქტურათა რეორგანიზაციის განხორციელების მთელი რიგი წინადადებები, დაასახელა კანდიდატურები მინისტრთა პოსტებზე. ამის შემდგომ კანდიდატურათა განხილვა მუდმივ კომისიებს გადაეცა.

შესვენების შემდეგ, მიიღო რა დადგენილება დღემდე მოქმედი ოფიციალური დღესასწაულების გაუქმებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის, აგრეთვე, ტრადიციული ქრისტიანული დღესასწაულების აღდგენის შესახებ, პარლამენტმა განაგრძო მინისტრთა თანამდებობაზე კანდიდატურების განხილვა. მუდმივ კომისიათა რეკომენდაციებით სესიამ დანიშნა მინისტრები (დღევანდელ ნომერში თითოეულ მათგახს წარმოგიდგენთ).

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დამატებითი ცვლილებანი. საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა ყველა აქტი, რომელიც მიიღო ამასწინათ გამოცხადებულმა ეგრეთწოდებულმა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“, რადგან ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას, აგრეთვე, სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს და ჯერ კიდევ საქართველოს სსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას. ამასთანავე დადასტურებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს უწინდელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემდგომშიც დაცული იქნება რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, როგორც ეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითაა გარანტირებული. შესწორებათა შეტანისა და დაზუსტების შემდგომ სესიამ მიიღო დადგენილება.“

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის ინფორმაცია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ და ცნობად მიიღეს იგი.

პარლამენტმა მიიღო განცხადება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის გამო, რომელიც ახლახან შემოვიდა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ მისი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე. საბჭოს სესიის მუშაობის ბოლოს, ეროვნული ფასეულობებისადმი, ეროვნული ტრადიციებისადმი, ეროვნული ენისადმი, ეროვნული ფასეულობ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ დაადგინა, დაინიშნოს:

ჯონი გრიგოლის ძე ხეცურიანი

საქართველოს
რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრად

თამაზ გურამის ძე გველესიანი



საქართველოს
რესპუბლიკის
ვაჭრობის მინისტრად

ლია ნიკოლოზის ასული ანდღულაძე

საქართველოს
რესპუბლიკის
განათლების მინისტრად

გურამ ვასილის ძე აბსანძე



საქართველოს
რესპუბლიკის
ფინანსთა მინისტრად

ნოდარ ალექსანდრეს ძე წულეისკირი



საქართველოს
რესპუბლიკის
კულტურის მინისტრად

დილარ მიხეილის ძე ხაგულიანი



საქართველოს
რესპუბლიკის
შინაგან საქმეთა
მინისტრად

თეიმურაზ შოთას ძე კვანტალიანი



საქართველოს
რესპუბლიკის
ტელევიზიისა და
რადიომაუწყებლობის
სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარედ

გიორგი მეთოდეს ძე ხოშტარია

საქართველოს
რესპუბლიკის
საგარეო საქმეთა
მინისტრად

ირაკლი სერგის ძე ჟორდანია

საქართველოს
რესპუბლიკის
მეცნიერების, ტექნიკისა
და პერსპექტიული
დაგეგმვის მინისტრად

ალექსანდრე პეტრეს ძე ჩხეიძე



საქართველოს
რესპუბლიკის
ტრანსპორტის
მინისტრად

ფელიქს გიორგის ძე ტყებუჩავა

საქართველოს
რესპუბლიკის
კავშირგაბმულობის
მინისტრად

ირაკლი ათინოგენეს ძე მენაღარიშვილი

საქართველოს
რესპუბლიკის
ჯანმრთელობის
დაცვისა და
სოციალური
უზრუნველყოფის
მინისტრად

წერილი რედაქციას

პატივცემულო მკითხველო, როგორც მოგეხსენებათ ხაზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია სამედიცინო (და არა მარტო იქ) ინსტიტუტში შექმნილმა სიტუაციამ. რედაქცია ამ საკითხის შესახებ არაერთ წერილს იღებს. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს წერილისას, რომელსაც 17 აბიტურიენტი აწერს ხელს.

ჩვენ წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტები სასტიკად აღგვაშფოთა იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გაფართოებულ სხდომაზე განსახილველად გაიტანა საკითხი, რომლის თანახმადაც - ნახევრადგამსვლელი ქულების მქონე, დადებითნიშნიანი და მე-3 და მე-4 საგანში ჩაჭრილი აბიტურიენტები სამეურნეო ანგარიშზე ჩაირიცხებიან...

ვის მივმართოთ ჩვენ, რომლებმაც ბიოლოგიის გამოცდაში დაუმსახურებლად მივიღეთ შეფასება „ოთხი“...

ჩვენს შორის (17 აბიტურიენტი) არიან როგორც სკოლის მედალოსნები, ისე სამედიცინო სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები, ამ უკანასკნელთა შორის კი უმრავლესობას 2-3 წლის პროფილით მუშაობის სტაჟიც აქვს. ჩვენ, სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, ყოველგვარი შეღავათი მოგვისპეს, არადა სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდით სპეციალურ საგნებს, ვმუშაობთ პროფილით, შედეგად კი რა მივიღეთ: უკვე სრულუფლებიანი მედდები მისაღებ გამოცდაზე ინსტიტუტის გარეთ დავრჩით.

განა სამართლიანი იყო ის ფაქტი, რომ 1989 წელს მოსამზადებელ განყოფილებაზე უგამოცდოდ ჩარიცხეს აბიტურიენტები? მედალოსნებს კი არავითარი შეღავათი არ მოგვცეს, ჩვენთვის აუცილებლად 3 წლის მუშაობის სტაჟი იყო საჭირო, საინტერესოა რატომ? ჩვენ ხომ ექიმობის სურვილი გვქონდა, წინასაექიმო გამოცდილებაც გვაქვს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. რედაქცია სთხოვს ყველას, სათანადო მასალები, ნაცვლად რედაქციისა, წარუდგინონ კომისიას.

გამოიწერეთ „სიმართლე“

„სიმართლე“ ჩვენს არეულ დროში, მართლაც, დიოგენის ფანრით საძებნი გახდა. მაგრამ თუ თქვენ გსურთ, რომ იგი თავისი ფეხით გეწვიოთ ოჯახში, 1991 წლისათვის უნდა გამოიწეროთ გაზეთი „სიმართლე“ — ნათქვამია მკითხველისადმი სარედაქციო მიმართვაში.

ალბათ, უკვე მოგეხსენებათ, რომ „სიმართლე“ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთია. იგი შინაგანი ორგანოების განახლებულ მუშაობაზე მოგითხრობთ, თან თქვენთვის საინტერესო დეტექტურ ლიტერატურასაც შემოგთავაზებთ.

ჯერ „სიმართლის“ სულ ხუთი ნომერია გამოსული, მაგრამ მას თავისი მკითხველები უკვე ჰყავს. იმედია, მათ რიცხვს თქვენც შეემატებით.

შეგახსენებთ, „სიმართლის“ ინდექსია 66639, ხელმოწერის ღირებულება ერთი წლით — 24 მანეთი, — ნახევარი წლით — 12

ჩვენი ვერნისაჟი



ავტორები ნ. ბაბანიძე და ა. ბაბანიძე

 მხატვარი ვერნერ ალაფინეი







ეს ხატვარი ვერნერ ალაფინეი

ჩვენი ვერნისაჟი

ჩვენი წინადადებანი

დღეს ჟველა ჩვენთანაა თავდა და ჟერა ახალი უნენიები ბაბოსკენა ბოკერიბილი. ჟველი დიდი ინტერესით ხვდება ხმა მიერ მიღებულ ყოველ დოკუმენტს.

რედაქცია ჟველ ღღეს ბეთხველთა წერილებს, რომლებშიც გამოიქმედია წინადადებები და მოსაზრებები ინის შესახებ, თუ რაზე ეფიდა ეაანმეფილის ეერეფაანა ეუნენიანა ბეთხველებს. ჩვენ ამა ეერო და ღერო მოკაუნვილი ახალი ეუბანიანი „ჩვენი წინადადებანი“.

1. ფაქტია, საქართველე ის ეერაკეეი, რომელი სსრკ-ს შემადგენლობაშია. ხოლო სსრკ-ს მოავლობა უცხოეთის ვალე ეიდეეე ვალის ამაეეაბს. ქვეეანა ალარ ფარობ სსრკ-

ქართული ბიბლიოთეკა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ორგანიზაციის შესახებ

გამოხმაურება

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა პროფ. კორნელი დანელიას წერილი „ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ორგანიზაციის პრობლემა“. ეს პრობლემა არაა ახალი, ძველია. გავიხსენოთ ცნობილი მეცნიერი მეთოდისტისა და სახელოვანი მკვლევარის პროფ. მიხეილ ზანდუკელის სიტყვები: „წერის საკითხი მტკივნეული იყო ძველ სკოლაში, მტკივნეულია თანამედროვე სკოლაშიც“) მ. ზანდუკელი, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, 1959, გვ. 119).

ჰეშმარიტად! ნამდვილად ასეა, ამრიგად, პროფ. კ. დანელიას მოსაზრებანი ჩვენი ახალგაზრდობის წერითი და, ვიტყოდი, ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება-გაღრმავებისა და მისაღებ გამოცდებზე მისი ობიექტურად გამოვლენა-შეფასების თაობაზე ბუნებრივია. ვეთანხმებით ბატონ კორნელის, რომ „მისაღები გამოცდების ორგანიზაციის სტრუქტურაში ბევრი რამ შესაცვლელია“, მეორე მხრივ, სწორად მიგვაჩნია ისიც, რომ „მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდების ტრადიციული მოდელის შეცვლა არ შეიძლება ყველამ ერთგვარად აღითქვას“.

ჩვენი სურვილია ამჯერად სწორედ ამ ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტის შესახებ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება:

ძირითადად წერითი მუშაობის ის მოდელი, რომელსაც პროფესორი კორნელი დანელია სავარაუდოდ გვთავაზობს, მისაღებია. გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა: 1. სასურველია, პირველ საკითხთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია „პირველ საკითხზე პასუხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის შიერ ლიტერატურული მასალის ცოდნა (ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნიდან“ **შინაარსი:** „ლომ-ვეფხვის დახოცვის ეპიზოდი“... „ოთარაანთ ქვრივიდან“ „ორი თვალი“ და სხვა ეპიზოდებისა, აბიტურიენტებს მოვთხოვოთ არა ზოგადად შინაარსი, არამედ — სავარაუდო ეპიზოდების **მოკლე შინაარსი.** ვფიქრობთ, რეკომენდაციის ამდაგვარად დაკონკრეტება სასარგებლო იქნება როგორც აბიტურიენტებისათვის, ისე წერითი ნაშრომების გამსწორებლებისათვისაც. მეტიც, ჩვენი აზრით, ამგვარად აჯობებს დაკონკრეტდეს სხვა კითხვებიც. რადგან ვრცლად ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დროის ფაქტორისა და სხვა გარემოებათა გამოც გაუჭირდებათ აბიტურიენტებს; ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით.

2. წერილი მოდელის მესამე საკითხი, როგორც წერილშია ნათქვამი, გათვალისწინებულია „**აბიტურიენტის მსოფლმხედველობის, მისი ზოგადი ცოდნის გამოვლენასთან**“. აბიტურიენტებს ამ ამოცანის გადასაწყვეტად ეძლევათ ასეთი საკითხები: „ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები“, „ქართული რომანტიზმის სპეციფიკა“, სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულებანი“. აჯობებს, **აქ დასახელებული საკითხების ცოდნა გავითვალისწინოთ წერითი მოდელის მეორე საკითხების წყებაში,** სადაც აბიტურიენტმა უნდა გამოავლინოს აზროვნების, განსჯის, ლიტერატურული მასალის კრიტიკულად შეფასების უნარი, ვთქვათ, იდეურ-მხატვრული ანალიზი რომელიმე ლექსის ან პოემის თუ მოთხრობის ეპიზოდისა („ვისაც გსურთ“, „რად ჰყვედრი კაცსა“. დღისა და ღამის ან თერგისა და მყინვარის შედარება „მგზავრის წერილებიდან“) და სხვა.

საკითხის ამგვარ ასპექტში დაყენება აუცილებელი ხდება იმის გამო, რომ **როგორც წესი — ცალკეულ ნაწარმოებთა თუ მათი გამორჩეული ეპიზოდების იდეურ-მხატვრული ანალიზი, მათზე კრიტიკული მსჯელობა ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისა და ცალკეულ მწერალთა მიმართულებებისა და მხატვრულ ესთეტიკური კრედოს გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.** ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ქართული რომანტიზმის სპეციფიკა იქნება თუ სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულებანი და სხვა სწორედ საპროგრამო ნაწარმოებთან უშუალო კავშირში უნდა წარმოაჩინონ აბიტურიენტებმა **არა უხაგნო მსჯელობით.** ასე რომ, მეცნიერულად და პედაგოგიურად უფრო გამართლებული იქნება მესამე საკითხში გათვალისწინებულ საკითხებზე პასუხი დაუკავშირდეს მეორე საკითხებზე გასაცემ პასუხს.

რაც შეეხება წერითი მოდელის მესამე საკითხთა წრეს, სასურველად მიგვაჩნია აქ შევიტანოთ აბიტურიენტთა საპასუხოდ ცალკეული საკითხები **ლიტერატურის თეორიიდან.** (ვთქვათ, რა არის მხატვრული განსაზღვრება, მეტაფორა, შედარება, ლირიკა, ეპოსი, დრამა, რომანტიზმი, რეალიზმი, კრიტიკული რეალიზმი და სხვა).

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას აბიტურიენტებს დაეკისრებათ სათანადო მაგალითების დამოწმება საპროგრამო მასალებიდან.

საპასუხო საკითხების ასეთი თანმიმდევრობითი მიცემით აბიტურიენტებს ბუნებრივად ეძლევათ საშუალება სწორი პედაგოგიური თანამიმდევრობით გაითვალისწინონ მოსამზადებელ პერიოდში ლიტერატურული ცოდნის შეძენის თავისებურებანი და მიეჩვიონ მსჯელობას ერთმთლიანობაში მხატვრულ ნაწარმოებთა ფორმასა და შინაარსზე.

დაბოლოს, მესამე საკითხად, (გამოსაკითხ წყებაში) ლიტერატურის თეორიის საკითხების შეტანით გარკვეულად დავძლევთ საშუალო სკოლაში ლიტერატურის თეორიის სწავლების იმ მავნე პრაქტიკას, როცა **ზოგიერთი მასწავლებელი ან სრულიად არ ასწავლის ლიტერატურის თეორიის საკითხებს და თუ ასწავლის არათანმიმდევრულად და სპორადულად.**

წერითი გამოცდების მოცემული მოდელიდან მეოთხე საკითხი — წინადადების გრამატიკული გარჩევა სასურველია, მეხუთე საკითხის ადგილზე გადავიტანოთ და მეოთხე საკითხის ადგილზე კი „აბიტურიენტის შემოქმედებითი, თავისუფალი მსჯელობის თუ ფანტაზიის უნარის“ გამოსავლენ კითხვებს დავუთმოთ ადგილი.

ჩვენი აზრით ეს არ არის საკითხთა მხოლოდ მექანიკური გადაადგილება. პირიქით — აქ, როგორც ცნობილია, აბიტურიენტმა თავისი შემოქმედებითი უნარითა და მოვლენების სპეციფიკური აღქმა-გაგებით ლიტერატურულ ჭრილში უნდა გადმოგვცეს პიროვნული დიფერენცირებული დამოკიდებულება ნახულსა თუ განცდილზე, ჩაგვახედოს თავის მხატვრულ-ესთეტიკურ სამყაროში და, რაკი ყოველივე ეს უფრო მეტად წმინდა ლიტერატურულ აზროვნებას უკავშირდება, ამიტომ უპრიანია იგი ბუნებრივად ამოჰყვეს პირველ, მეორე და მესამე კითხვებს.

როგორც ვხედავთ, ჩვენი შენიშვნები არსებითად არ ცვლის პროფესორ კორნელი დანელიას მიერ წარმოდგენილ წერითი გამოცდების ჩატარების სავარაუდო მოდელს, ამიტომ, ვიმეორებთ, მხარს ვუჭერთ მას, მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ეს მოდელი **არ არის უნივერსალური,** ვფიქრობთ, ამას თვით ბატონი კორნელი დანელიაც გრძნობს და წერილის დასასრულს შენიშნავს, რომ წერითი მუშაობის ასეთი სავარაუდო მოდელი ერთგვარად არასასურველი გარემოებათა შედეგია და აბიტურიენტთა „ცოდნის შეფასებაში მიკერძოების“ საწინააღმდეგოდაა გათვალისწინებული.

ახლა საკითხს შევხედოთ საშუალო სკოლის მოთხოვნილებიდან; რა ქნას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა — ხელი აიღოს ლიტერატურის სწავლების მსჯელობა, აბიტურიენტებისათვის ძნელი არ იქნება.

ამასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, წერითი მუშაობის სავარაუდო მოდელი უნივერსალური არ არის. მაშასადამე, **იგი უნდა მივიღოთ, როგორც წერითი მუშაობის ერთ-ერთი საუურადღებო ხახე.** ჩვენი დაკვირვებით ამ მოდელს საგრძნობ სიკეთესთან ერთად ახლავს ნაკლიც: კერძოდ, პირველ ყოვლისა, ესაა დროის დეფიციტი. მრავალწლიანი გამოცდილებით ვიცით, რომ აბიტურიენტებს, როცა ისინი ერთ თემაზე მუშაობდნენ შემოქმედებითად (ე. ი. როცა არ იყენებდნენ შპარგალკებს) ოთხი საათიც არ ჰყოფნიდათ. ახლა კი ხუთ საკითხზე სერიოზული პასუხის გაცემა ნამდვილად დიდ დროს მოითხოვს; ამასთან, აქ მარტო დროის საკითხიც არ დგება. საქმე ისაა, რომ აბიტურიენტებმა ფიზიკურად და გონებრივადაც რომ შეძლონ ერთდროულად 5-6 საათი მუშაობა, მათ სერიოზულად დააბრკოლებს ის გარემოებაც, რომ საშუალო სკოლაში ასეთი ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული. ანდა საიდან ექნებათ? აქ ხომ საკონტროლო წერისათვის ერთი ან ორი საათი ეძლევათ და ასეთ ვითარებაში როგორ შეეძლებათ ხუთექვსაათიანი დროისათვის საჭირო წერითი მუშაობის გამომუშავება.

მეორე, განა შეიძლება ერთნაირი ბალების ოდენობით შეფასდეს ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდის შინაარსის ცოდნა ან წინადადების გრამატიკული გარჩევა და რომელიმე მხატვრული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი?

მესამე, წერითი მუშაობის ამ მოდელის მოთხოვნა ფაქტიურად ახლა ინერგება და მასწავლებლებს ჯერ კიდევ სრულყოფილად არა აქვთ მისი განხორციელებისათვის სათანადო მეთოდიკური ცოდნა გამოცდილება.

მეოთხე, ალბათ, პირველ ხანებში მაინც წერითი მუშაობის ახალი მოდელის საკითხობრივი მოთხოვნა გარკვეულად შეუშლის ხელს სკოლაში საპროგრამო ნაწარმოების როგორც მოლიანი მხატვრული ქმნილების აღქმას, ცხადია, გვესმის, რომ ყოველი მთელი ნაწილებისაგან შედგება და პირიქით, მაგრამ ეს დონე აზროვნებისა საშუალო სკოლაში არც ეგრე ადვილად ხელმისაწვდომი და ამას გათვალისწინება სჭირდება.

მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, მხარს ვუჭერ წერითი მუშაობის ახალ სავარაუდო მოდელს. რაც შეეხება წერითი მუშაობის ტრადიციულ სტრუქტურას, მას ნაკლთან ერთად დადებითი მხარეებიც აქვს და ამაზე, ალბათ, სხვა დროს გვექნება მსჯელობა.

პროფესორი შოთა ქურდაძე,
სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

ქსცბ—„იბერია“

„გლასნოსტი“ გვატყობინებს

ბაქო. 19 ნოემბერს ბაქოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს გამაფრთხილებელი გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვენ საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას და უარის თქმა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე.

ვილნიუსი. 17 ნოემბერს სამხედრო ყაზარმების პიკეტირების დროს მოპიკეტეთა გარდა დაიჭრა რამდენიმე ჯარისკაცი, მაგრამ სამხედრო ხელმძღვანელობა მალავს ამ ფაქტს, ალბათ იმ მიზნით, რომ საზოგადოებრიობის ყურადღების საგანი არ გახდეს საბჭოთა არმიისა და ლიტვის მოსახლეობის სულ უფრო გართულებული ურთიერთობა.

რიგა. 18 ნოემბერს ლატვიაში აღინიშნა დამოუკიდებელი ლატვიის რესპუბლიკის 72 წლისთავი. 10 ათასკაციან მიტინგზე, რომელიც ერთობლივად მოაწყვეს ლატვიის სახალხო ფრონტმა, ლატვიის დამოუკიდებლობის მოძრაობამ, ლატვიის მოქალაქეთა ლიგამ და სხვა ორგანიზაციებმა, მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მიმართვას სსრკ პრეზიდენტისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ სსრკ კვლავ აგრძელებს ლატვიის ოკუპაციას, მიმართვაში ხაზგასმულია, აგრეთვე, ლატვიის ახლანდელი პარლამენტის, როგორც რესპუბლიკის კანონი და სრულუფლებიანი ხელისუფლების ორგანოს, მხარდაჭერა.

ლენინგრადი. 18 ნოემბერს შედგა რუსეთის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ჩრდილო-დასავლეთი განყოფილების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს გორბაჩოვის გამოსვლა 17 ნოემბერს, სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. სიტყვით გამოსულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ „საქმე ჩილეს ვარიანტს უახლოვდება, რომელიც „შორს აღარ არის“. თავისუფალმა დემოკრატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, უახლოეს ორ დღეში, ქალაქში გაავრცელონ ფურცლები, რომლებშიც მოუწოდებენ ხალხს, თავისი დამოკიდებულება გამოხატონ გორბაჩოვის სიტყვის მიმართ, ჩაატარონ რეგიონის ყველა დემოკრატიული პარტიის თათბირი და მოემზადონ აუცილებლობის შემთხვევაში საპროტესტო აქციის მოსაწყობად.

„დს-ინფორმი“ გვატყობინებს

ბაქო. 17 ნოემბერს გაზეთებში გამოქვეყნდა ბრძანებულება აზერბაიჯანის სსრ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკად შეცვლის შესახებ. შეიცვალა რესპუბლიკის ჰიმნი და სიმბოლიკა.

ყაზანი. უკვე კარგა ხანია, რაც ქალაქის პურის მაღაზიების დახლები ცარიელია. პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობა თვალისდახამხამებაში იტაცებს მაღაზიებში შემოტანილ პურს. ბევრი მათგანი კი უინვაში საათობით რიგში დგომის შემდეგაც შინ ხელმოცარული ბრუნდება. თითქმის შეუძლებელი გახდა ბევრი სხვა პროდუქტის შეძენაც, რომლებიც აქამდე ტალონებზე მაინც იყიდებოდა. 1 ნოემბრიდან ტალონებზე გასაყიდი პროდუქტების რაოდენობა 9-მდე გაიზარდა: შაქრის, არყისა და ხორცის გარდა, ახლა ტალონებზეა მაკარონი, მცენარეული ზეთი, მარგარინი, ჩაი, ქათმის კვერცხი, საკონდიტრო ნაწარმი. მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებანი აბსოლუტური დუმილით უვლიან გვერდს შექმნილ სიტუაციას.

მახალები მოამზადა
კახა გაგლოშვილმა

ვისწავლოთ ქართული ცეკვა

ფირმა „ჰუმანიზმის“ ბაზაზე გაიხსნა ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი კურსები დიდებისათვის. კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მსურველები. ასაკი 18-დან 45 წლამდე. მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 17-დან 20 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი ივ. ჯავახიშვილის ქ. № 88 (ყოფილი კალინინის ქუჩა) სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სახლი.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 37-55-93. 10-დან 19 საათამდე გარდა კვირისა.

კულტურის ცენტრის „თბილისი“ უმაღლესი სამუსიკო — პედაგოგიური სასწავლებელი

აცხადებს მსმენელთა მიღებას საფორტეპიანო, სიმღერიანი და ჩასაბერი საკრავების, ვოკალურ და თეორიულ განყოფილებებზე.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სამუსიკო განათლების მქონე პირები.

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია. სწავლა იწარმოებს როგორც დასწრებული, ასევე შერეული ფორმით, (რაიონიდან ჩამოსულთათვის).

მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრება-კოლოქვიუმის საფუძველზე. სასწავლებელი სამეურნეო ანგარიშზეა. სწავლის საფასური მიიღება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდად.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საშუალო სამუსიკო განათლებას დამადასტურებელი საბუთის (სამუსიკო სასწავლებლის დიპლომის ან სამუსიკო ატესტატის) ასლი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, 3 ფოტოსურათი.

საბუთები მიიღება 1 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე, ყოველდღე გარდა კვირისა 12-დან 17 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი კახპის ქ. № 7 (მეტროს სადგური „300 არაგველი“).

დამატებითი ცნობები ტელეფონით: 74-23-47.

კულტურის ცენტრი „თბილისი“-ს გენერალური დირექტორი

ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ივანე ჯავახიშვილი შვილიშვილებთან ერთად

არმაზის გათხრებზე, 1939 წ.



ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი სინას მთაზე

ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან

ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვა

50 წლის წინათ

50 წლის წინათ, 1940 წლის 18 ნოემბერს, 9 საათსა და 40 წუთზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში საჯარო ლექციის კითხვის დროს გარდაიცვალა დიდი ქართველი ივანე ჯავახიშვილი. მაშინ ივანე ჯავახიშვილი 64 წლისა იყო.

პროფესორი დავით გვრიტიშვილი იგონებს: „ძნელია კალმით აღიწეროს ის, რაც ლექციაზე დამსწრეებმა ვიგრძენით იმ წუთს... თბილისელები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ერთმანეთს გადასცემდნენ ამ სამწუხარო ამბავს. ჯერ კიდევ გვამი არ გაციებულიყო, რომ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები შემოვიდნენ დარბაზში, სადაც ივანე ჯავახიშვილი მისი მოწაფეების ხელებზე იყო დასვენებული, არავის სჯეროდა, რომ ადამიანი, რომელმაც ამდენი იმოღვაწა, შეიძლებოდა ასე უცბად მოგვშორდება, ამბობენ, დიდი ადამიანების სიკვდილიც კი ჩვეულებრივი არ არისო“. (დ. გვრიტიშვილი, „ივანე ჯავახიშვილი“, 1968. გვ. 34).

დ. გვრიტიშვილი აქვე იხსენებს ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილის ნათელა ჯავახიშვილის მოგონებას: „ივ. ჯავახიშვილი ახალგაზრდობისას დასწრებია ერთ ლექციას, ლექციის კითხვისას უეცრად გარდაიცვალა პროფესორი. ამ სურათს ისეთი შთამაგონებელი შთაბეჭდილება მოუხდენია ივანეზე, რომ თავისიანებისათვის მიუწერია... უბედნიერესი კაცი ყოფილა, მან სამუდამო ძეგლი აიგო, ლექციის კითხვისას, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას გარდაიცვალაო. ბედნიერი იქნება ის, ვინც ასეთ სიკვდილს ეღირსებაო“. რა იცოდა ივანე ჯავახიშვილმა, რომ მისი სიცოცხლეც ასევე დასრულდებოდა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებით გამოწვეული უმძაფრესი განცდა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ასე გამოხატა: „ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი ვაუშრა, გონება დაებინდა. ყველა შიშის ზარმა აიტანა, კარგად ვიცით, რომ ჩვენში ამ დროს სტიქიური კატასტროფა, მიწისძვრა არ ყოფილა, მაგრამ მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა. მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი. შორს გაისმა გლოვის ზარი“ (აკ. შანიძე, თსუ, შრომები, ტ. 18, 1941, გვ. 16-17).

20 ნოემბერს, პირველ საათზე, ივანე ჯავახიშვილის ცხედარი სამკურნალო კაბინეტის შენობიდან უნივერსიტეტის შენობაში გადაასვენეს. ზღვა ხალხი მოდიოდა დიდ მამულიშვილთან გამოსათხოვებლად.

21 ნოემბერს, დაკრძალვის დღეს, ქუჩებში მოძრაობა შეწყდა. უჩვეულო იერი ედო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზს: შავხავერდოვან ფარდაზე, დაფნის ცოცხალ გვირგვინში ესვენა ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი. შუა დარბაზში, კვარცხლბეკზე იდგა კუბო განსვენებულის ნეშტით. ცოცხალი ყვავილები, გვირგვინები, სიყვარულისა და მწუხარების ემბლემები ჰფარავდნენ კუბოს და მის პოსტამენტს“ (დ. გვრიტიშვილი, „ივანე ჯავახიშვილი“, 1968, გვ. 35).

ჯავახიშვილის კუბოსთან საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ივანე ჯავახიშვილის მეგობრები და მოწაფეები: აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ს. ჯანაშია, შ. დადიანი, ი. ნიკოლაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. კეცხოველი, გ. ხაჭაპურიძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვები.

საღამოს 6 საათსა და 15 წუთზე ცხედარი სამარეში ჩაასვენეს, თავისი თანამებრძოლის პეტრე მელიქიშვილის გვერდით.

საქართველოს კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია მრავალი საინტერესო კინო-ფოტო დოკუმენტი თუ ხმის ჩანაწერი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ჩვენს წინ ცოცხლდება სასიქადულო მამულიშვილის ბავშვობა და ყრმობა, ნათესავ-მეგობართა წრე, სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი კადრები. გიმნაზიიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

როგორც მეცნიერული თვალსაზრისითაა მრავალმხრივი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა, ასევე მრავალმხრივია მისი გეოგრაფიული არეალი: პეტროგრადი, ბერლინი, სინას მთა, მშობლიური უნივერსიტეტი.

ვფიქრობთ, გარდაცვალების 50 წელთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება ერთხელ კიდევ მივაწოდოთ ივანე ჯავახიშვილის თანამედროვეთა მოგონებები.

სიმონ ყაუხჩიშვილი: „მისი თაოსნობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა სამეცნიერო წრე, რომლის ხელმძღვანელი თვითონ იყო. რას ისახავდა ეს მიზნად? ისახავდა მოემზადებინა ქართველები მომავალი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების საკითხავად. იქ იკითხებოდა ლექციები, მოხსენებები, ისტორიაში, იურისპრუდენციაში, ფიზიკაში, მათემატიკაში; ყველა დარგის სტუდენტი იღებდა მონაწილეობას ამ სამეცნიერო წრის მუშაობაში. იმდენად დაინტერესებული იყო ივანე ჯავახიშვილი ამ წრის მუშაობით, რომ მერე თვითონ, 1915 წელს ამ წრეში წაკითხული მოხსენებები ცალკე კრებულად გამოსცა და ამას თვლიდა ქართული მეცნიერების პირველ დანიშნულებად, რომ ახალგაზრდა კადრები მოემზადებინა მომავალი მუშაობისათვის ქართულ უმაღლეს სასწავლებელში, რომლის დაარსებისათვის ის იმთავითვე ზრუნავდა“.

გიორგი ჩიტაია: „თანამხილველნი რომ არ ვიყოთ, ძნელია იმის დაჯერება, რომ ერთმა ადამიანმა ასეთი კოლოსალური შრომა გასწია. არ დარჩენილა არცერთი დარგი ქართველი ხალხის ისტორიისა, რომელსაც ბატონი ივანეს კალამი არ შეხებოდა. მისი კვლევაძიების საგანს წარმოადგენდა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენათმეცნიერული, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა უამრავი პრობლემები“.

შალვა ამირანაშვილი: „ქართველ მეცნიერთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი თავისი მოღვაწეობით უსათუოდ უკავია პროფესორ ჯავახიშვილს. მისი შემოქმედება განუყოფლად დაკავშირებულია ჩვენი ერის ცხოვრებასთან, საქმიანობასთან, იგი იყო დიდი მოღვაწე, რომელმაც საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დააარსა არქეოლოგიური სექცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული წარსული კულტურის ძეგლების თავმოყრას, შესწავლასა და მეცნიერულ დამუშავებას“.

აკაკი შანიძე: „ქართული ერის აღორძინების ისტორიაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ მთავარი ფიგურა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი უთუოდ ივანე ჯავახიშვილი იყო, რომელსაც წილად ხვდა წინამძღვრად გაძღოლოდა მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერს უკეთესი მომავლისათვის“.

გიორგი ახვლედიანი: „ივანე ჯავახიშვილს ვეძახდით დიდ ივანეს, იმიტომ, რომ ისტორიაში ძალიან ცოტა არის ისეთი ინიციატივიანი დიდი პატრიოტი და თავდადებული თავისი ხალხისათვის“.

არნოლდ ჩიქობავა: „ივანე ჯავახიშვილის კოლოსალური სამეცნიერო მემკვიდრეობა სათანადო შესწავლისათვის დროს მოითხოვს. ამ მემკვიდრეობის სათანადო შეფასება მომავლის საქმეა“.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი 1938 წელს აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დეპუტატის საპატიო მოვალეობაზე თავისი აზრი მან 1938 წლის 9 ივლისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოთქვა: „დეპუტატის საპატიო მოვალეობის ასრულების დროს უმთავრესად სწავლა-განათლებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებით საკანონმდებლო და სხვაგვარი საკითხების განხილვაში, ვფიქრობ, მხურვალე მონაწილეობის მიღებას.

ეს განზრახვა იმ რწმენაზეა დამყარებული, რომ თითოეული დეპუტატი ვალდებულია თავის დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის, და, რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, მთელი ჩემი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევსწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალღონე მსურს მოვახმარო ამავე საკითხების საშუქებლად“.

თავმდაბლობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის შეხვედრა ამომრჩევლებთან. აი, ეს სინქრონული ჩანაწერიც:

„ამხანაგო ამომრჩევლებო! უდიდეს მადლობას მოგახსენებთ იმ განსაკუთრებული პატივისცემისა და ნდობისათვის, რომელიც გამოიხატა ჩემი უმაღლეს საბჭოს კანდიდატად დასახელებაში, მაგრამ იმავე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ მე ჩემ თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან არ ვიცი შევძლებ თუ არა იმ დიდი ნდობის გამართლებას, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემდამი.

შევძლებ თუ არა იმ დიდი მოვალეობის ასრულებას, რომელიც აწევს უმაღლეს საბჭოს დეპუტატს? ეს გარემოება მაფიქრებს იმიტომ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო აკადემიურ ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. ეხლა კი უკვე საკანონმდებლო დაწესებულების წევრობა მომიხდება. ის განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატულება, რომელიც თქვენ ინებეთ, მე მიმაჩნია გადაჭარბებულად ჩემდამი, ქართული გულუხვობით აიხსნება ეს და თუ ჩემს მოღვაწეობაში, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო მოღვაწეობაში, უკვე საქართველოში, მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აიხსნება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გვერდს მიმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკვეთებით განმსჭვალული, ერთი ნებისყოფის ქვეშ მოქმედი. ჩემს მოღვაწეობაში მე ვხელმძღვანელობდი ერთი ხალხური ლექსით, რომელშიც მშვენივრად არის გამოხატული ქართველი ხალხის ზნეობრივი მოძღვრება, აუცილებელი, აუცილებლობის შესახებ, რომელსაც უნდა ადამიანი აკმაყოფილებდეს: „კარგი ვარ იმას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა, კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა“. როგორ ვიკადრებ მე, რომ თქვენს წინაშე ჩემს შესახებ რაიმე ვთქვა იმაზე მეტი, რაც სხვებს შეუძლიათ თქვან. ეს არც საკადრისია ჩემს მხრივ და არც ამას მიკარნახებს ქართველი ხალხის ზნეობრივი მოთხოვნა“.

მოამზადა
მზია ქუცნიაშვილმა

ლორძიხეა-რგო

გვერდის სპონსორები არიან: საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

ამჯერად ლიონში

გუშინ, 24 ნოემბერს, საფრანგეთის ქალაქ ლიონში განახლდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩი გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. გაიმართა მეცამეტე პარტია. შეგახსენებთ, რომ ორთაბრძოლაში 24 პარტია უნდა გათამაშდეს. გამარჯვებისთვის საკმარისია 12,5 ქულა, მაგრამ კასპაროვს 12 ქულაც ყოფნის, რომ ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნოს.ამჟამად კი მატჩის ანგარიშია 6:6.

საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩის პირველმა ნახევარმა, რომელსაც ოქტომბერ-ნოემბერში ნიუ-იორკში უმასპინძლა. კასპაროვმა და კარპოვმა თავგამოდებული ბრძოლით ქომაგთა გულები მოინადირეს, მაგრამ მიახლოებული პასუხიც კი ვერ გასცეს კითხვას: ვინ იქნება ჩემპიონი? როგორც ჩანს, ამ საკრამენტულ კითხვას პასუხი ლიონში გაეცემა.

კასპაროვს დიდი იმედი ჰქონდა (ამას საჯაროდაც აცხადებდა), რომ ნიუ-იორკში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწევდა და მატჩის ბედიც გადაწყდებოდა მის სასარგებლოდ. მაგრამ მოტყუვდა. კარპოვმა ისეთი შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, რომ მან მცირე უპირატესობასაც ვერ მიაღწია.

აი, როგორ წარიმართა კასპაროვ-კარპოვის მატჩის ნიუ-იორკის ნახევარი: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2:1, 2,5:1,5, 3:2, 3,5:2,5, 3,5:3,5, 4:4, 4,5:4,5, 5:5, 5,5:5,5, 6:6 (თითო მოგება, 10 ყაიმი).

როგორც ხედავთ, სტარტზე კასპაროვი დაწინაურდა, მაგრამ ვერ განავითარა იგი, პირიქით, დაკარგა ლიდერობა.

კარპოვმა მას შემოქმედებით ბრძოლაშიც ღირსეული ოპონენტობა გაუწია. მათი ძირითადი დავა-დიალოგი დებიუტში მიმდინარეობდა. ისინი სისტემატურად მიმართავდნენ ძველინდურ დაცვას (კასპაროვი) და ესპანურ პარტიას (კარპოვი). მათ ახალი იდეებით გაამდიდრეს ეს ძირძველი სადებიუტო სისტემები, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ დებიუტების თეორიაში.

კასპაროვი ახერხებდა საიერიშო პოზიციების მიღებას, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლო მისი რეალიზება. კარპოვი უფრო დაცვით იყო გართული, მაგრამ ერთხელ, როცა იერიშის შესაძლებლობა მიიღო, ლოგიკურად დააგვირგვინა იგი.

სპეციალისტების აზრით, დიდოსტატებს ხშირად მოსდიოდათ შეცდომა. ამ მხრივ აღსანიშნავია დრამატული მერვე პარტია. ჯერ კასპაროვმა ვერ მოიგო იგი, მერე კარპოვმა, თუმცა მას ზედმეტი ორი პაიკი ჰქონდა. სცოდავდნენ ისინი ენდშპილშიც. ყოველივე ეს აიხსნება მხოლოდ დიდი პასუხისმგებლობით, დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვით და მეტოქეთა ღრმა განცდებით.

ორთაბრძოლაში არ იგრძნობოდა რომელიმე ფერის უპირატესობა, თუმცა ორივემ თეთრი ფიგურებით მოიგეს. ეს მეტოქეთა დაცვისა და კონტრიერეშის წარმართვის მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

და აი, ლიონში სტარტს იღებს მატჩის დასკვნითი ეტაპი. სხვათა შორის, კასპაროვისა და კარპოვის საჭადრაკო ცხოვრებაში ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც ისინი მატჩს ორ ქვეყანაში თამაშობენ. 1986 წელს მათი მატჩ-რევანშის პირველ „ტაიმს“ ლონდონმა უმასპინძლა, მეორეს — ლენინგრადმა. მაშინ კასპაროვმა გაიმარჯვა ლონდონში — 6,5:5,5, ლენინგრადში კი ყაიმს (6:6) დასჯერდა. როგორ იქნება ამჯერად, არავინ იცის.

გამარჯვებულის ვინაობა ბურუსითაა მოცული. კასპაროვი მაინც არ ცხრება. საფრანგეთში ჩასვლისთანავე მან განაცხადა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს, თუმცა ადარ დააყოლა „გამანადგურებელი ანგარიშით“, როგორც ორთაბრძოლის დაწყების წინ ამბობდა. გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ კარპოვი ისეთი კერკეტი კაკალია, რომ მისი დამარცხება ადვილი არ იქნება. პირიქით არ მოხდეს. კარპოვმა ხომ განაცხადა, რომ საბოლოოდ მე გავიმარჯვებო.

ასეა თუ ისე, ლიონში უმძაფრესი ბრძოლაა მოსალოდნელი. ვარაუდით იგი 23 დეკემბრამდე გაგრძელდება.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

„საქართველოს სულიერი მისია“

ამაოებიანი
ალექსანდრეს ეკლესიის ეზოში

ამ გაზაფხულზე, მაისში, თბილისში მოწყობილი „იდრიარტის“ ფესტივალის ერთგვარ სენსაციად იქცა ზვიად გამსახურდიას მიერ წაკითხული ლექციები საქართველოს სულიერი მისიის შესახებ. მაშინ საზოგადოების ერთი ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც ვერ დაესწრო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ამ ლექციას, კიდევ ერთხელ აწუწუნდა სარეკლამო საქმის მოუგვარებლობაზე, რის გამოც ეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფესტივალი თითქმის უჩუმრად ჩატარდა თბილისში და ფართო მაყურებელი თუ მსმენელი ვერ მიიზიდა. და აი, სულ ახლახან გამომცემლობა „განათლებამ“ დასტამბა ზვიად გამსახურდიას იმ გახმაურებული ლექციის ტექსტიც და მასთან ერთად კიდევ ორი ლექცია — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“ და სტატია „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“.

ლექციები შეეხება ღვთისმეტყველების, მითოლოგიის, ეთნოლოგიის, ჰერმენევტიკის, რელიგიის ისტორიის სფეროებს. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ დღევანდელ დღეს, როცა თავისუფლებისა და აღორძინების გზაზე დამდგარი ქართველი ერი უღრმავდება თავის ისტორიულ ფესვებს, შეიმეცნებს თავის რაობას და, აქედან გამომდინარე, — თავის სულიერ მისიასაც კაცობრიობის წინაშე.

ერი სიტყვით რომ დახასიათდეს ამ წიგნის მნიშვნელობა, უნდა ითქვას ასე: „იგი არის ქართველი ერის სიამაყის საფუძვლების განმამტკიცებელი“. ამ ლექციებში გამოთქმულია უაღრესად თამამი მოსაზრებები ქართველთა ეთნოგენეზისის, წინაბერძნული ანუ პელაზგური და პროტოიბერიული სამყაროების ნათესაობის შესახებ. და მიუხედავად იმისა, ეს ლექციები გარკვეულწილად გულისხმობს საკმაოდ მომზადებულ აუდიტორიას, იგი უთუოდ დაინტერესებს ყველა ჭეშმარიტ ქართველს, ქართული კულტურის დამფასებელსა და კეთილმოსურნეს.

როგორ უკავშირდება იუპიტერის რასსის მისსიას პროტოევროპული ანუ პელეოკავკასიური, მედიტერანული რასსის მისსია, რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძოდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში, რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს, რა კავშირები არსებობს წარმართულ და ქრიტიანულ ინიციაციებს შორის, რა კავშირია ლაზარესა და ქართულ ენას, პრომეთესა და ამირანს შორის, რა კავშირი აქვთ ხეთებს საქართველოსთან — ამ და ბევრ სხვა საინტერესო კითხვაზე მიიღებს პასუხს მკითხველი ამ წიგნიდან.

საინტერესო და ახლებური მოსაზრებებია გამოთქმული ლექციაში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც ეხება ძველი ქართული თეოსოფიური მწერლობის ძეგლს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. როგორც შენიშვნაშია მითითებული, წინამდებარე ნაშრომი ნაწილია ვრცელი გამოკვლევისა, რომელსაც ავტორი ამზადებს იოანე-ზოსიმეს ესქატოლოგიისა და მასთან დაკავშირებული ფილოლოგიური და ეთნოლოგიური პრობლემების შესახებ.

გელათის, როგორც სიბრძნის ცენტრის, ტრადიციების შესახებ საუბრობს ავტორი მესამე ლექციაში: „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“.

როგორც წინასიტყვაობის ავტორი ვახტანგ ბერიძე წერს, „კრებულში შესული სამი ლექცია და წერილი წარმოადგენს ერთ მთლიანობას. ისინი ასახავენ ქართული სულის თვითშემეცნების ეტაპებს და განსაზღვრავენ ქართული ეთნოსის როლსა და მნიშვნელობას ცივილიზაციის უნივერსალური პრინციპების დადგენის პროცესში“.

ზედიზედ მეორედ...

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის. მარათონული ტურნირის ფინალში ერთმანეთის პირისპირ რესპუბლიკის ორი უძლიერესი გუნდი დადგა — ფიზკულტურის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდში (ისევე, როგორც სხვა დანარჩენ კოლექტივებში) მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მრავალი კალათბურთელი იყო თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობიდან.

...ფინალისტების შეხვედრამ (განსაკუთრებით პირველმა) კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველ მატჩში თავდაპირველად უნივერსიტეტელები დაწინაურდნენ და პირველი ტაიმიც მათ 18 ქულით მოიგეს, მაგრამ შემდეგ ვერ შესძლეს უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდნენ კიდევაც — 92:95 (55:37). გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (23), მიხეილ კობეშავიძე (23), კახაბერ შენგელია (18), დამარცხებულთა რიგებში — გია ბერუაშვილი (33), კახა ქართველიშვილი (16), გიორგი ქართველიშვილი (14).

რაც შეეხება მეორე შეხვედრას, აქ, ფაქტობრივად, ბრძოლა არც ყოფილა. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მატჩის პირველი წუთებიდანვე იგდო თამაშის სადავეები და არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს — 96:78 (60:36). ყველაზე შედეგიანები იყვნენ: მიხეილ კობეშავიძე (26), შოთა უძილაური (21), დავით დადიანი (20) — ფიზკულტურის ინსტიტუტი და გია ბერუაშვილი (25), ლაშა რევაზიშვილი (12), მამუკა ტურაშვილი (12) — თსუ.

ზემოთდასახელებულ კალათბურთელთა გარდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ღირსებას იცავდნენ ავრთვე ალექსანდრე ფერაშვილი, გოდერძი კორძაძე, ვეფხია მაისურაძე, ირაკლი ბერიკი, ერნესტ მოველიძე, გია ტუხაშვილი და ზაზა ესიტაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. გუნდი ამ შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა ბესიკ ლიპარტელიანმა და თემურ აბულაძემ.

სოფიკო კერძაია

ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 3.

დეპეშა ნომერში

თბილისის ფოსტამტის კოლექტივმა 5 ათასი მანეთი გადარიცხა 9 აპრილს მოწამლულების ინგა რუხაძისა და ზვიად ქასრაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გასაგზავნად.

გ. გელაშვილი,
ფოსტამტის უფროსი
მ. რაზმაძე,
პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

წერილი რედაქციას

დავანესოთ „სუპერთასი...“

პატივცემულო რედაქცია, ამ წერილს გწერთ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები და გვინდა, ერთი წინადადება მივაწოდოთ თქვენი გაზეთის საშუალებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

როგორც მოგეხსენებათ, მრავალ წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში სეზონის ბოლოსთვის ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი „სუპერთასის“ მოსაპოვებლად თასის მფლობელს ხვდება. იქნებ, ჩვენთანაც მოგვეწყო ანალოგიური მატჩი, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება და რომელსაც სეზონის სამი საუკეთესო არბიტრი უმსაჯებს?..

პატივისცემით:
ნიკა დავლიანიძე,
დათო ჯანგულაშვილი

რედაქციისაგან: ჩვენც სავსებით ვეთანხმებით თბილისელ გულშემატკივართა აზრს და იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საზოგადოებრიობა და ყველა ქართველი ფეხბურთის გულშემატკივარი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამს ეროვნული „სუპერთასის“ გამართვის თაობაზე.

ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 37-58-25; მისამართი: ბულაკაშვილის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების კონფიდენციალობა — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოშარიულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.